

## დანართი 1



### პიესად გაგაკეთებული ჩრდილების თეატრისთვის- „წინწკლებიანი მუსტანგი“ (ნაირა გელაშვილის მოთხრობის მიხედვით)

#### მოქმედი გმირები:

- მთხრობელი
- მუსტანგი
- ლოკოკინა
- კუნელის ბუჩქი
- ნიავი
- თხუნელა
- ფურისულა
- მინდვრის თაგვი
- ნარეკალა
- მზე

ყვავილებიან მინდორზე ჩვეულებრივი გაზაფხულის დილა გათენდა. მზის სხივებმა ჩვეულებრივ მიიღრმინეს ყვავილებთან. ტოროლა ჩვეულებრივ ჭიკჭიკებდა მაღლა ჰაერში. ლოკოკინა ჩვეულებრივ ამძვრალიყო კუნელის ბუჩქზე და ღრმად ჩაფიქრებული ქვეყნიერებას გადასცქეროდა. კუნელის ბუჩქიც ჩვეულებრივ ეჩურჩულებოდა დილის ნიავეს, იმდამინდელ სიზმრებს უყვებოდა. მხოლოდ წინწკლებიანი მუსტანგი იყო, უჩვეულოდ რომ გამოვარდა უეცრად ტყიდან. მინდორზე შეუჩერებლად სირბილს მოჰყვა და თან გაიძახოდა:

**მუსტანგი:** - ჩქარა, თორემ გვიან იქნებაო!

უნდა გენახათ რა ამბავი დატრიალდა! ყვავილებმა თვალეზი ჭყიტეს და გაშტერდნენ. გაოგნებული დილის ნიავი ქვაზე ჩამოჯდა. კუნელის ბუჩქს სუნთქვა შეეკრა. თხუნელა ბუჩქის ძირას მიიმალა. მზის სხივები ერთიანად მიიყუჩნენ. პატარა, თეთრი მინდვრის თაგვი კი ხავსიან ლოდს ამოეფარა. ასეთ ამბავს ჯერ არ შესწრებოდნენ. გაოფლილი, წინწკლებიანი მუსტანგი ისევ დარბოდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰყვიროდა:

გიტა თვალაბეიშვილი

მეთოდური კონსულტანტები: თამარ მოსიაშვილი, ეკატერინე ქუთათელაძე

**მუსტანგი:** - ჩქარა, თორემ გვიან იქნება!

ლოკოკინა რომელსაც გულით სძულდა ყოველგვარი აურზაური, ცოტა გონს რომ მოვიდა წელში გაიმართა და მუსტანგს გადმოსძახა: ეჰეი! მუსტანგ, რა ბზიკმა გიკბინა?! - მაგრამ მუსტანგს არაფერი გაუგია. ისე სწრაფად ჩაუქროლა კუნელის ბუჩქს, რომ ბუჩქი შეირხა, ლოკოკინამ მირს მოადინა ზღართანი და პატარა ფურისულას გვერდი დაუქუჩა. ფურისულამ ცრემლები გადმოაფრქვია და თვალების სრესას მოჰყვა. ლოკოკინა კი აბუზდუნდა: ასეთ სულელურ მდგომარეობაში ყოფნა, დიახაც, არ სიამოვნებდა. მუსტანგი კი ისევ გულამოვარდნილი დარბოდა და გაიძახოდა:

**მუსტანგი:** - ჩქარა, თორემ გვიან იქნება!

**ნარეკალა:** - გაგიჟდა!

ჩაიქირქილა ნარეკალამ, მაგრამ არავინ აჰყვა და გაჩუმდა.

თხუნელამ თავი მოიფხანა. ნიავი ოდნავ შეიშმუშნა. პირდაღებულ მინდვრის თავგს პირი გაუშრა და ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

**ფურისულა:** - ვაიმე, ძალა გამოელევა, წაიქცევა!

წამოიძახა ფურისულამ და უარესად აქვითინდა.

**კუნელი:** - ეგებ გავაჩეროთ?

აჩურჩულდა კუნელის ბუჩქი და მუსტანგისკენ ტოტები გაიწოდა, მაგრამ ამაო იყო:

**მუსტანგი:** - ჩქარა, თორემ გვიან იქნება!

ვინ იცის სადამდე გაგრძელდებოდა ეს უჩვეულო ამბავი, უეცრად თხუნელას შუბლზე რომ არ ეტკიცა თათი და არ წამოეძახა:

**თხუნელა:** - აი, გამოშტერებაც ასეთი უნდა! ამას წინათ პატარა ობოლ მაჩვენებლს დავპირდი, მოვალ და დერეფნის გათხრაში დაგეხმარებით-მეთქი და სულ დამავიწყდა!

ყველამ თვალი გააყოლა როგორ გაცუხცუხდა მინდვრიდან თხუნელა მერე ისევ მუსტანგს მიაშტერდნენ.

**მუსტანგი:** - ჩქარა, თორემ გვიან იქნება!

სულს ძლივს ითქვამდა პატარა მუსტანგი.

**თაგვი:** - ოჰ რა სულელი ვარ! მე ხომ ავადმყოფ ციყვს დავპირდი ერთ ტომარა თხილს მოგიტან-მეთქი!

წამოიძახა უცბად მინდვრის თავგმა. შუბლში თათი იტკიცა და სასწრაფოდ გაცუნცულდა.

ყველამ თვალი გააყოლა და ...

**კუნელი:** - ოჰ, რამ დამავიწყა!

ისე წამოიძახა ამ დროს კუნელის ბუჩქმა, რომ ყვავილებს გულები დაუხეთქა. იგი ფაციფუცით შეუდგა წერილის წერას.

გიტა თვალაბიშვილი

მეთოდური კონსულტანტები: თამარ მოსიაშვილი, ეკატერინე ქუთათელაძე

**კუნელი:** „ჩემო ძვირფასო დობილო მარწყვო! ჩემმა მეგობარმა ნიავმა მითხრა რომ დედამისი ქარი ტყეში აპირებს ჩამოსვლას. მტკივანი გვერდიდან სახვევს ნუ მოიხსნი., უარესად გაგიცივდება. გეხვევი სიყვარულით. კუნელი.“

ვიდრე კუნელის ბუჩქი წერილის წერას დაამთავრებდა, ნიავი ქვიდან წამოფრინდა და წამოიძახა:

**ნიავი:** - რამ გამომამტერა! ეს როგორ მომივიდა! მწვანე ხვლიკს დავპირდი მოვალ და მზეზე დამწვარ გვერდს გაგიგრელებ-მეთქი და სულ დამავიწყდა!

ნიავიც ფაციფუცით გაფრინდა მიწდვრიდან და წერილიც თან წაიღო.

ასე გაახსენდა ყველას დანაპირები და მიწდვრიდან გაიკრიფა. მხოლოდ ლოკოკინა დარჩა თავის ადგილზე, დაბნეული და შეწუხებული. ის არავის არაფერს დაჰპირებია და აბა, სად უნდა წასულიყო ან რა უნდა გაეკეთებინა? გულით კი მოუწონდა სხვებივით ისიც ჩამომხტარიყო, შუბლში ეტკიცა ხელი და ვინმესთან გაქცეულიყო. უცებ ფურისულა გაახსენდა. ახლოს მიუხიხდა და უთხრა:

**ლოკოკინა:** - ახლავე მოგიჩვენებ დაჟეჟილ გვერდსო.

მოიხსნა მალამოს გუდა და იქვე შეასრულა დანაპირები.

ამ ამბავს ზემოდან დასცქეროდა მზე, რომელსაც არავინ ავიწყდებოდა. ახლაც თავის ყველაზე ნაზ სხივებს ჩუმად ჩასჩურჩულა:

**მზე:** - ჩქარა, თორემ გვიან იქნებაო!

სხივები შემოეხვივნენ ბალახზე უღონოდ მიწოლილ წინწყლებიან მუსტანგს და ოფლი შეუმრეს.